თ ა ნ ხ მ ო ბ ა

ქ.თბილისი 11.06.2026 წელი

ვაცხადებ და ვადასტურებ, რომ, მე, ნინო არჩვაძე (პ/ნ 01010018214) როგორც შპს „ცრცქნა“-ს (ს/ნ 211357574) ერთპიროვნული დირექტორი ვაძლევ თანხმობას, მცირე მეწარე თეონა თოდუას (პ/ნ 62001039165) რომელიც ჩვენს მიერ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით N-27/05/2026-1 ფლობს ფართს, მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვ. დოლიძის ქ.N11-ში, განათავსოს აღნიშნული ობიექტის გარე ფასადზე კონდიცირების სისტემის გარე აგრეგატი (კომპრესორი).

აღნიშნული თანხმობა ძალაშია იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ან მის შეწყვეტამდე.

პატივისცემით,
ნინო არჩვეძე,
დირექტორი: ნინო არჩვაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N260770559
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	11.06.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ხატია ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	საქართველო, ქალაქი თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 75 (0171)
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 032 2 4348 20; + 995 5 91 91 21 91
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	11483506700226

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდაექვსი წლის თერთმეტ ივნისს **საქართველოს ნოტარიუსს ხატია ბერიძის შემცვლელ პირს, ალექსი ჩხიკვაძეს,** სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 75 (0171), მომმართა ქალბატონმა **ნინო არჩვაძემ,** რომლმაც წარმოადგინა თანხმობის ტექსტი (თარიღი: 11.06.2026 წელი) ორ ეგზემპლარად და მოითხოვა მასზე თავისი ორი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ქალბატონმა **ნინო არჩვაძემ** (დაბადების თარიღი: 31.05.1970 წელი; პირადი ნომერი: 01010018214; რეგ.მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა, N6, ბინა 54) მომმართა. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

<u>ხელმომწერ პირს განემარტა, რომ ნოტარიუსი/შემცვლელი პირი არ ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისობას კანონმდებლობასთან და პასუხს არ აგებს მის შინაარსზე.</u> ხელმომწერმა პირმა განაცხადა, რომ გაცნობილი არის წარმოდგენილი დოკუმენტის შინაარსს, ფლობს იმ ენას, რომელზეც შედგენილია აღნიშნული დოკუმენტი და ის სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ.

<u>სანოტარო მომსახურების საზღაური:</u>

სანოტარო მომსახურების საზღაური სულ 19.16 ლარი. აქედან 12.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებების (თარიღი: 29.12.2011 წელი, დადგენილება N507; 30.05.2022 წელი, დადგენილება N272) 31-ე მუხლისა, 2.16 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა (დღგ) და 5.00 /ხუთი ლარი და ნული თეთრი/ ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილებების (თარიღი: 29.12.2011 წელი, დადგენილება N507; 30.05.2022 წელი, დადგენილება N272) 39-ე მუხლისა.

საქართველოს ნოტარიუს ხატია ბერიძის
შემცვლელი პირი ალექსი ჩხიკვაძე

